აპრაქსია - Apraxia - Апраксия

(ბერძ. a- *არა* + praxia *მოქმედება, პრაქტიკა* → apraxia *უმოქმედება)*

ნებელობითი მოძრაობებისა და საგნობრივი მოქმედებების დარღვევა, ანუ ნებელობის მიერ **სენსომოტორული** აქტივობის მართვის დარღვევა, თუმცა **ცნობიერებას** გადახრა არ ეტყობა. ხდება **თავის ტვინის** ქერქის დაზიანებათა დროს. გასამიჯნია **ნებისყოფის სისუსტისგან** [**ჰიპობულია; ყურადღების დარღვევა; ჰიპერაქტიურობა**] და **აბულიისგან** (**ა** დარღვევა-არევაა, ხოლო აბულია – მოშლა-უუნარობა, თანაც არამარტო სენსომოტორულ დონეზე).